

ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე  
ტრემლესადმი (1211წ.).

ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989.

XIII საუკუნის დასაწყისში ფრანგმა ჯვაროსანმა რაინდმა ჟილბერ დე ბუამ წერილი მისწერა ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამადე დე ტრემლეს. წერილი 1211 წლით თარიღდება. დე ბუას წერილის დედანი ინახება პარიზის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

*ქართულთა შესახებ*

*Reverendo in Christo patri et domino diligendo A (madeo), Sei providentia archiepiscopo Bisanc(ino), G...de Boyx, humilis miles, amen. Cum de prosperitate mea noverim vos letari, sciatic, quod Dei gratia ego et uxor mea sani et incolumes permanemus. De rumoribus Terre promissionis et aliarum regionum circumja centium hec vobis breviter proposui significare, etsi non omnia tamen aliqua, que magis admiranda videntur. In primis sciatic, quod regnum Jerusalem treugas habet cum Sarracenis et etiam princpatus Antioch (iae), qui innumeras perequitionea tum per soldanum Babilonie, tum per rfegem Armenie passus est, per longun tempus treugas habet com predicto soldano. Audiatis etiam alia que nova admiration consideranda sunt. Audivimus, et rei veritatem per certos nuncios didicimus, quod de Hiberia quidam Christiani, qui Georgiani dicuntur, cum innumera multitudine militum et peditum, divino inspirante auxilio, manu fortiter armata, contra infideles paganos insurrexerunt alacriter, et jam trecenta (CCC) castella et novem (IX) maximas urbes subiugantes, retinentes forciora, debiliora in cinerem redegerunt. Precdicetarum urbium quedam sub Eufrate sita cunctarum urium parganicarum eray nobilissima et magna. Dominus hujus Urbis preerat filius soldani Babllonis, qui captus a predicti christianis capite truncates*

*est, quamvis auri infinitam pecuniam promitteret se daturum. Quid dicam per si gula? Tales quales predixi ad terram recuperandam sancta Jherusalem vinent totam paganiam subjugentes. Rex eorum nobilis sexdecim annos par Alexandro viribuset probitate, nontamen in fide. Iste puerossa ad sepulchrum Domini defferentur. Ester ergo precibus matris adquiescens votum matris sue restaurare desiderat et eam in sanctum civitatem, volentibus et nolentibus paganis, promisit repelire. Mando vobis iterum, domine<sup>1</sup>.*

•


ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ა (მედეს), ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ... დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ, ნებითა ღვთისათა, *მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.* აღთქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამზავთაგან შემდეგი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა - სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან; ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი დევნა განიცადა ხან ბაბილონის სულთნისაგან, ხან სომხეთის მეფისაგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულთანთან. აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე, და საქმის საჭიშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ, რომ ივერიითაგან ვინმე ქრისტიანენი, გეორგეანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღფრთოვანებულ დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი, იმ ქალაქის პატრონი ბაბილონის სულთნის შვილი იყო; და ზემონათქვამ ქრისტიანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა

---

<sup>1</sup> გვ. 108-109.

უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა. კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნული წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, 16 წლისა ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭაბუკი ესე დედამისის დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალეოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებელმა და დედის აღთქმის მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმინდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ<sup>2</sup>.

*მთარგმნელი ზ. ავალიშვილი*



---

<sup>2</sup> გვ. 97-98.